ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2765031

ნომერი: AR1428651

თარიღი : 02.08.2016

გაცემის თარიღი : 23.08.2016

გაცნობის თარიღი : 23.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N43 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:

- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 02 აგვისტოს №AR1428651 განცხადებით მომართა ზურაბ აბზიანიძემ თანაგანმცხადებელ ნინო გველესიანთან ერთად და ამავე სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებით, ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №43-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:№01.13.03.010.021), მრავალფუნქციური შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, არასწორადაა მითითებული საპროექტო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. მაჩვენებელები შეცდომითაა დაფიქსირებული ასევე შეთანხმებულ გეგმებზე. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:5009,5; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 3980; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 846,3; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 276,6. ასევე, შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს №AR1428651 განაცხადით წარმოდგენილი, შესწორებული გეგმებით.

სამსახურმა 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტისა და განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი შესწორებული გეგმები და კომერციული ფართობის, საზაფხულო ფართობისა და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, ხოლო აღნიშნული მაჩვენებლების ცვლილების შედეგად საერთო ფართის მაჩვენებელი შეადგენს 5102,9 კვ.მ-ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებაში, კერძოდ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:5102,9; კომერციული ფართობი (კვ.მ).: 3980; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 846,3; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 276,6, ხოლო შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს №AR1428651 განაცხადით წარმოდგენილი, შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 22 ივლისის №2729738 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.